# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 105

"15" აპრილი 2016 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა №29/ ხიდის ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ №01.18.03.005.004.01.514) ა(ა)იპ „ცისკარი - 1852"-ისთვის (ს/ნ №404485696) „პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შესახებ" - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 13 ოქტომბრის №41.09.1185 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხთან დაკავშირებით თანხმობის გაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 13 ოქტომბრის №41.09.1185 განკარგულებაში ცვლილების შეტანაზე და აღნიშნული განკარგულების პირველი პუნქტის შემდეგი სახით განსაზღვრაზე:

„1 ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს: განიხილოს და შეითანხმოს ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა 29/ხიდის ქუჩა №1-ში (ს/კ №01.18.03.005.004.01.548) მდებარე უძრავი ქონების ნაწილის , კერძოდ მე-3 სართულზე არსებული 67,97კვ.მ. ფართის (დანართით წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „ცისკარი - 1852"-ისთვის (ს/კ №404485696 უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხი".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავითი აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი